



## მემორანდუმი



სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიასა და  
სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლას  
შორის ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

ქ. თბილისი

27.02. 2018 წელი

სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია (შემდგომში „აკადემია“), წარმოდგენილი მისი რექტორის, გივი მიქანაძის სახით და სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა (შემდგომში „სკოლა“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ქეთევან მახარაშვილის სახით (შემდგომში „მხარეები“), სკოლისა და აკადემიის ერთობლივი ინიციატივების განხორციელების მიზნით, ვთანხმდებით ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებაზე შემდეგი პირობებით:

### 1. მემორანდუმის საგანი

წინამდებარე მემორანდუმის საგანია ამ დოკუმენტით გათვალისწინებული მიზნებისათვის მხარეებს შორის ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპებზე დაფუძნებული თანამშრომლობა.

### 2. მემორანდუმის მიზანი

მემორანდუმის მიზანია მხარეთა საერთო ინტერესების სფეროში შემავალ აქტუალურ საკითხებზე თანამშრომლობა, ერთობლივი სასწავლო-საგანმანათლებლო პროექტების განხორციელების, რესურსების (მათ შორის, ინტელექტუალური და ტექნიკური) გაზიარებისა და მაღალი კომპეტენციის მქონე კადრების მომზადების ხელშეწყობის გზით.

### 3. მემორანდუმის ამოცანები

მემორანდუმის ამოცანებია:

- 3.1 ორმხრივი თანხმობის შემთხვევაში, აქტუალურ საკითხებზე, ერთობლივი სამუშაო შეხვედრების, სემინარების, კონფერენციების ორგანიზება; საერთო ინტერესების სფეროში შემავალი საკითხების კვლევა და სასწავლო-საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება;
- 3.2 ორმხრივი ინტერესის შემთხვევაში, პროფესორების, ინსტრუქტორების, ტრენერებისა და ექსპერტების ჩართვის უზრუნველყოფა, მხარეთა მიერ ორგანიზებულ სასწავლო პროგრამებსა და პროექტებში;
- 3.3 ორმხრივი ინტერესის შემთხვევაში, ერთობლივი სასწავლო სახელმძღვანელოებისა და სხვა სახის პუბლიკაციების მომზადებასა და გამოქვეყნებაში მონაწილეობა (ურთიერთთანამშრომლობის პირობებში შექმნილი ინტელექტუალური შრომის პროდუქტი წარმოადგენს ორივე მხარის საკუთრებას);
- 3.4 ორმხრივი თანხმობის შემთხვევაში, თანამშრომლების პროფესიულ მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლების პროცესში მხარდაჭერის გაწევა;
- 3.5 ორმხრივი ინტერესის შემთხვევაში, მხარეთა ანალიტიკური საქმიანობაში სკოლისა და აკადემიის წარმომადგენლების ჩართვა;
- 3.6 ორივე მხარის თანხმობის საფუძველზე, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ერთობლივ სასწავლო პროგრამების შემუშავება ან/და კონსულტაციის გაწევა სასწავლო პროგრამებისა და მასალების შემუშავების პროცესში;
- 3.7 სხვა ღონისძიებების განხორციელება მემორანდუმის ფარგლებში თანამშრომლობის მიზნების მისაღწევად.

### 4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

- 4.1. ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, ერთობლივი ღონისძიებების ჩატარებისა და ერთობლივი პროექტების განხორციელებისათვის მხარეთა კუთვნილი რესურსების ერთობლივი გამოყენება კონკრეტული ღონისძიებისა თუ პროექტის მიზნების რეალიზებისათვის;
- 4.2. ორივე მხარის თანხმობის შემთხვევაში, მათ სარგებლობაში არსებული ტესტებისა და შესაბამისი ელექტრონული პროგრამების უსასყიდლოდ გადაცემა;

- 4.3. ორივე მხარის შეთანხმების შემთხვევაში, კუთვნილი ბეჭდური ან/და ელექტრონული გამოცემების ეგზემპლარების ერთმანეთისთვის უსასყიდლოდ გადაცემა;

## 5. მემორანდუმის მოქმედების ვადა

- 5.1. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედების განუსაზღვრელი ვადით;
- 5.2. ნებისმიერ მხარეს შეუძლია ყოველგვარი მიზეზის გარეშე წინამდებარე მემორანდუმის გაუქმება მეორე მხარისთვის 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე წერილობითი შეტყობინების მიწოდების საფუძველზე და კონკრეტული მიზეზით გაუქმება მეორე მხარისათვის 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით ადრე წერილობითი შეტყობინების მიწოდების საფუძველზე;
- 5.3. ამ მემორანდუმის გაუქმების შემდეგ მხარეებმა (მათი შესაძლებლობების ფარგლებში) უნდა განახორციელონ ყველა შესაბამისი და აუცილებელია ღონისძიება მემორანდუმის ფარგლებში უკვე დაწყებული პროექტების დასასრულებლად;
- 5.4. მემორანდუმი შედგენილია ორ თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

## 6. დასკვნითი დებულებები

- 6.1. ნებისმიერი შეტყობინება, მოთხოვნა და თანხმობა, რომელიც მოთხოვნილია ან ნებადართულია გაიცეს ამ მემორანდუმის შესაბამისად, წერილობითი ფორმით და გაიგზავნოს ფოსტით ან გადაიგზავნოს ელექტრონული ფოსტის მხარეთა მიერ წინამდებარე მემორანდუმში მითითებულ რეკვიზიტებზე;
- 6.2. მხარეები ადასტურებენ, რომ არ ყოფილა არანაირი პირდაპირი თუ არაპირდაპირი სარგებელი შეთავაზებული მეორე მხარისათვის ამ მემორანდუმთან დაკავშირებით. მხარეები თანხმდებიან, რომ ამ დებულების ნებისმიერი დარღვევა მემორანდუმის არსებითი პირობების დარღვევაა;
- 6.3. მხარე, რომელსაც ფორსმაჟორული გარემოებების გამო, ხელი შეეშლება თავისი ვალდებულებების შესრულებაში, არ უნდა იქნას განხილული ამგვარი ვალდებულებების დამრღვევად და მიმართოს ყველა შესაძლო საშუალებას ფორსმაჟორულ გარემოებათა შედეგების შესამსუბუქებლად. ამავე დროს,

მხარეებმა ერთმანეთთან უნდა აწარმოონ კონსულტაციები ამ მემორანდუმის შემდგომი განხორციელების საშუალებებზე.

### მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა

ქეთევან მახარაშვილი

სკოლის დირექტორი



ნიკვას ქუჩა #12  
4600 ქუთაისი, საქართველო  
ტელ: +995 431 232 600  
ვებ-გვერდი: [www.zspa.ge](http://www.zspa.ge)

გივი მიქნაძე

აკადემიის რექტორი



გმირი გურსანტყეშელაშვილი #4  
0178 თბილისი, საქართველო  
ტელ: +995 32 241 40 41  
ვებ-გვერდი: [www.policeacademy.gov.ge](http://www.policeacademy.gov.ge)